ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ126. 126231111**

თარიღი:**21/04/2023**

,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიების თაობაზე'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 აპრილის Nბ126.126231103 ბრძანებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 52-ე, 53-ე, 63-ე მუხლების მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების თანახმად და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემისათვის, ელექტრონული აუქციონის ორგანიზების მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის 2023 წლის 18 აპრილის N 1 ოქმის საფუძველზე.

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 აპრილის Nბ126.126231103 ბრძანებაში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:
,, 1. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ჯვარი ანდრია პირველწოდებულის ქ. ზე მდებარე 144 $მ^2$ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ N47.14.33.400
ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს --- 5000 ლარი
ბ) ,,ბე''-ს საფასური განისაზღვროს ---500 ლარი.
გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს---- 100 ლარი.
დ) არსებული საპირფარეშოს (შენობა-ნაგებობის) დემონტაჟი და ახალი ორ განყოფილებიანი საპირფარეშოს მშენებლობის დასრულება სრულად 3 თვის ვადაში საკუთრების მოწმობის მიღებიდან მიწის ს/კ 47.14.33.399.''
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.(მის: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქუჩა12).

ივანე ბურდული

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

5200 ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.# 5. ტელ: 599647050
5200 K.SALIA ST. #5. TSALENJIKHA,GEORGIA TEL: 599647050
WWW. TSALENJIKHA.GOV.GE E-MAIL. TSALENJIKHAMERIA@TSALENJIKHA.GOV.GE